პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 46
(7357)

6
1983 წ.
მარტი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ახალი სეზონი — ახალი ამოცანები

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა 1983 წლის საზაფხულო სეზონისთვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მზადყოფნას, სპორტული და მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებისას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებს.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. გოგლიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია.

სიტყვებით გამოვიდნენ: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ცუგბა, სახალხო დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. აბზიანიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ხაჩიძე, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯ. მიქელაძე, საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ჩხატარაშვილი, სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორი ბ. პაიჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჯ. კუხალაშვილი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ფოფხაძე. თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ფ. ჭელიძე.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი საზაფხულო სპორტული სეზონი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს სპორტულ ორგანიზაციებს, სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მესვეურებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. საჭიროა პირადი პასუხისმგებლობის, დისციპლინის მკვეთრი ამაღლება, სპორტული და მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციის გაუმჯობესება, სპორტსმენებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, შეჯიბრებაში მონაწილეთათვის, მსაჯებისთვის, გულშემატკივრებისთვის ყველა პირობების შექმნა, რათა მოედანზეც და ტრიბუნაზეც სრული წესრიგი სუფევდეს, სხვადასხვა რანგის ასპარეზობანი ნამდვილ სპორტულ ზეიმად იქცეს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ნ. რუსაკმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე.

ენთუზიასტები გუდაურში

დილაადრიან ნორჩების ჟივილ-ხივილმა აავსო ფასანაურის ტურისტული სასტუმრო „არაგვი“. მესამე წელიწადია, რაც ნორჩი სამთომოთხილამურეები — საქართველოს განათლების სამინისტროს ზამთრის სახეობათა სპორტსკოლის აღსაზრდელები — გუდაურის თოვლიან ფერდობებზე ჩამოდიან სავარჯიშოდ.

დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ნაირფერ, ელეგანტურ სათხილამურო კოსტუმებში გამოწყობილმა 200-მდე მოსწავლემ ავტობუსებით ჯვრის უღელტეხილისაკენ აიღო გეზი.

გზა საკმაოდ გრძელია, გუდაურში ასვლას თითქმის საათი უნდა. ამიტომ მწვრთნელებმა სხვადასხვა გასართობები მოიგონეს. შუნარა ცნობილაძე-გეგუჩაძემ სახელდახელო კონკურსიც კი ჩაატარა... საუკეთესო ლეგენდაზე გუდაურის წარმოშობის შესახებ. ყველაზე საინტერესო 7 წლის გიორგი მიქელაძის „ვერსია“ გამოდგა. მისი აზრით, დიდი ხნის წინათ აქ ცხოვრობდა კეთილი მეზღაპრე, სახელად ური. მან უამრავი ზღაპარი იცოდა, ისინი გუდით დაჰქონდა და ყველას სიამოვნებით უნაწილებდა. მეზღაპრის გარდაცვალების შემდეგ ამ ადგილს „გუდა-ური“ დაერქვა.

ნაამბობი ყველას მოეწონა. შემდეგ 10 წლის ჰორფლიანმა, სიმპათიურმა ნათია რევიშვილმა გამოცდილი გიდივით გაგვაცნო გუდაურის ხვალინდელი დღე — მისი მომავალი ტრასები, საბაგირო გზები და ტურისტული სასტუმროები.

მხიარულ საუბარში გზა მალე გაილია და აი, გამოჩნდა კიდეც სეთურები — 1900 მეტრ სიმაღლეზე გაშენებული პატარა სოფელი. ზღაპრული სილამაზეა ირგვლივ: კავკასიონის ცადაზიდული გოლიათები, თეთრად მოქათქათე თოვლი, თვალისმომჭრელი მზე. საკმაოდ დამრეც ფერდობზე პატარებისათვის ორი საბაგირო გზა და 300-მეტრიანი სასრიალო ტრასა მოუწყვიათ. ეს, როგორც აქ ხუმრობით გვითხრეს, ადგილობრივი „საბავშვო ბაღია“, სადაც მომავალი სამთომოთხილამურეები სპორტში პირველ ნაბიჯებს დგამენ.

რა თქმა უნდა, თავიდან უპირთ თოვლზე წონასწორობის შენარჩუნება და 25-მეტრიან მონაკვეთზე ჩასრიალება. მეორე დღეს კი ნორჩები უკვე მყარად დგანან ფეხზე და ახლა თხილამურებით მოხვევას სწავლობენ. მართალია, ზოგს მარცხენა და მარჯვენა ერევა ერთმანეთში, მაგრამ არა უშავს — ისინი ხომ 7-8 წლისანი არიან.

გულმოდგინებას შედეგი მოაქვს. შუნარა მასწავლებელიც კმაყოფილია. ვინც შედარებით კარგად აითვისა მოხვევისა და დამუხრუჭების ელემენტები, ახლა ფერდობზე ასვლისა და იქიდან ჩამოსრიალების ნებას იღებს მწვრთნელისაგან.

იქვე, შედარებით უფროსები თამამად მოქრიან 300-მეტრიან ფერდობზე. ესენი წარსულში ცნობილი რეგბისტების, ამჟამად კი სკოლის მწვრთნელების გელა მიქაბერიძისა და ირაკლი დოლიძის აღსაზრდელები არიან.

— ყოჩაღ, ეკა! — ამხნევებს მეგაფონით „შეიარაღებული“ მიქაბერიძე ნორჩ მოთხილამურეს. იქვე, მეორეს მოხვევას უწუნებს და სათანადო რჩევას აძლევს.

საინტერესოდ მიმდინარეობს თითქმის 3-საათიანი ინტენსიური ვარჯიში თოვლზე.

სეთურებიდან 5 კილომეტრის სავალზე, სოფელ გუდაურში 3 საბაგირო გზა და უფრო რთული ტრასებია მოწყობილი. აქ 10-12 წლის მოთხილამურეები სწრაფდაშვებისა და სლალომის ტექნიკას ხვეწენ მწვრთნელების ზ. ბაქრაძის, ვ. მალოვიჩკოს, რ. ადამიას, თ. მოსესოვის, ვ. და დ. მიქელაძეების ხელმძღვანელობით. აქაურ, 1200-მეტრიან ტრასაზე მარტის არდადეგების დღეებში შეჯიბრებების მოწყობაც აქვთ გადაწყვეტილი.

... სამშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი 1973 წელს, როდესაც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან სამთო-სათხილამურო სპორტის სექცია ჩამოყალიბდა. უნდა ითქვას, რომ თავიდან თითო-ოროლა მოყვარული თუ დაინტერესდა უთოვლო თბილისისათვის ამ ერთობ „უცხო ხილით“. ნორჩი სპორტსმენები თავდაპირველად შეკრებაზე მხოლოდ ბაკურიანში დაჰყავდათ. 1977 წლის ბოლოს გაიხსნა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზამთრის სახეობების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, რომელსაც პირველივე დღიდან სპორტის ოსტატი ზურაბ მაისურაძე ხელმძღვანელობს.

მაისურაძე იმხანად საქართველოს აფროსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო, მაგრამ სამთო თხილამურების დიდმა სიყვარულმა თავისი გაიტანა.

მას შემდეგ, რაც მოთხილამურეებმა გუდაურის მიდამოების „ათვისება დაიწყეს“, ორიოდე წელიწადში აქ უკვე ამოქმედდა 5 საბაგირო გზა, რომელთა საერთო სიგრძე 2,5 კილომეტრს შეადგენს, აშენდა ფინური ტიპის 3 სახლი.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სკოლის მწვრთნელებმა და მშობელთა აქტივმა შეასრულა.

აქვე დავძენთ, რომ ჩეხოსლოვაკური წარმოების „ვლ-1000“ საბაგირო გზის პროექტი და სამონტაჟო სამუშაოები სკოლისათვის უსასყიდლოდ შეასრულა „საქსახსპეცტრანსის“ სახელმწიფო კომიტეტმა (თავმჯდომარე შ. ორჯონიკიძე).

გასულ წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე სკოლამ შეიძინა შვეიცარული ფირმა „როლბას“ თოვლსატკეპნი მანქანა. ეს „ყველგანმავალი“, რომელსაც ინჟინერი თ. ჯიმკარიანი ემსახურება, სწორედ რომ შეუცვლელია საბაგირო გზების დამონტაჟება-შეკეთების საქმეში.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მწვავედ დგას ინვენტარის საკითხი — არ ყოფნით მაღალხარისხოვანი თხილამურები, სპეციალური ფეხსაცმელი, სამაგრები.

უახლოეს მომავალში გუდაურში აიგება სპორტსმენთა საცხოვრებელი სახლი. ამ მხრივ სკოლას დიდ მზრუნველობას უწევენ ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ (მმართველი მ. ცისკარიშვილი) და ჟინვალჰესი (მშენებლობის უფროსი ა. ჩალაძე). წელს ისინი გუდაურში დადგამენ ორსართულიან ასაწყობ სახლს, რომელიც ერთდროულად 140 მოთხილამურეს დაიტევს. ამას, ცხადია, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ფასანაურიდან გუდაურამდე 40 კილომეტრის გავლა დღეში ორჯერ მეტად დამღლელია და დროც ბევრი მიაქვს. დიდთოვლობისას კი ჯვრის უღელტეხილი „იკეტება“ და ტრასებამდე მისვლა შეუძლებელი ხდება.

აღსანიშნავია, რომ სკოლის აღსაზრდელები უკვე წარმატებით ასპარეზობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ამას წინათ ბაკურიანში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე პირველობა არავის დაუთმო განათლების სამინისტროს გუნდმა. გარდა ამისა, რესპუბლიკის ნაკრებში, რომელიც ამჟამად საკავშირო პირველობისათვის ემზადება, ნახევარზე მეტი სპორტსკოლის წარმომადგენლები არიან.

ნორჩ მოთხილამურეთა მომავალი წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მალე აშენდება გუდაურში 150 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სასწავლო-საძილე კორპუსი. მაშინ პატარებს თოვლზე ვარჯიშის საშუალება ექნებათ თითქმის მთელი ზამთრის მანძილზე.

გუდაურში სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრის შესაქმნელად გაშლილი მუშაობა და სპორტსკოლის სამომავლო გეგმა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მალე ჩვენი მოთხილამურეები საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზეც გამოიჩენენ თავს.

გ. ახალაძე.

* * *

სურათებზე: გუდაურის „თოვლის ფანტაზია“.

ავტორის ფოტოები.

ახლოვდება
სსრ კავშირის
ხალხთა
VIII სპარტაკიადის
ფინალური სტარტები

ცის ფეიერვერკი

ვერცხლისფერი მომცრო ლაინერი ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში, ჰორიზონტზე მარყუჟი მოხაზა. ვერტიკალურ ფრენს აკრობატული ტრიუკები ცვლის, თვითმფრინავი ქარის წისქვილივით იწყებს ტრიალს...

სათვითმფრინავო სპორტი არაოლიმპიურია, მაგრამ ოლიმპიადის ლოზუნგი — „შორს, სწრაფად, ძლიერად“ ამ სახეობის ხასიათთან პირდაპირ კავშირშია.

აქ შეჯიბრებები ერთადგილიანი სპორტული და ორადგილიანი სასწავლო თვითმფრინავებით ტარდება. მფრინავის მიერ სრულდება კომპლექსები, ცნობილი და უცნობი ფიგურული ვარჯიშები. თითოეულ კომპლექსში 18-20 ვარჯიში შედის. სულ 1500-ზე მეტი ფიგურული ვარჯიშია ცნობილი. 1960 წლიდან ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები, 1965 წლიდან კი არსებობს სსრ კავშირის სათვითმფრინავო სპორტის ფედერაცია.

ჩვენში ამ სახეობის პიონერად ითვლება აეროკლუბების შექმნის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი მიხეილ მაჭავარიანი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დიდი ენთუზიაზმით და გატაცებით შეხვდნენ კომკავშირულ გადაძახილს „კომკავშირელო, თვითმფრინავზე!“ და „მოდელიდან — პლანერამდე, პლანერიდან — თვითმფრინავამდე“.

დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში ფეხს იკიდებს და ვითარდება საპლანერო სპორტი. 1967 წელს საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონიც კი გვყავდა — უშანგი ყორღანაშვილი (ამჟამად აეროფლოტის ერთ-ერთი რგოლის უფროსი). 1969 წლიდან საპლანერო სპორტის ნაცვლად ჩვენთან ინერგება სათვითმფრინავო სპორტი. ორი წლის შემდეგ მფრინავებმა საკავშირო პირველობაზე იასპარეზეს და ამით დამთავრდა ამ სახეობის ხანმოკლე ჰეგემონია. ამის შემდეგ სათვითმფრინავო სპორტი თითქმის 10 წლით დავიწყებას მიეცა.

სამი წლის წინათ საქართველოში კვლავ დაიწყო სათვითმფრინავო სპორტის აღმავლობა. მფრინავი-ინსტრუქტორი ამირან მესტვირიშვილი იყო პირველი მერცხალი, ვინც დაიწყო სპორტული თვითმფრინავების ფრენის ტექნიკის შესწავლა და შემდეგ სხვებისთვის სწავლება. შარშან სექტემბერში ქ. ტულაში შეჯიბრების სტარტზე პირველად გამოვიდნენ ჩვენი მფრინავები. ბოლნისელმა ბიჭიკო მჭედლიშვილმა აქ ისე მოხდენილად დაიწყო თვითმფრინავით ვერტიკალური მალაყების შესრულება, რომ სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. ბოლო ვარჯიშში შეცდომა რომ არ დაეშვა, უთუოდ საპრიზო ადგილს დაიკავებდა გამოცდილ მფრინავებთან პაექრობაში.

ამჯერად ამ სახეობას თბილისის აეროკლუბში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. სპორტსმენთა განკარგულებაშია „იაკ--50“ და „იაკ-52“ ტიპის 10 სასწავლო-სპორტული თვითმფრინავი. რაც მთავარია, ამ რომანტიულ სახეობაში უკვე 40 ახალბედა ვარჯიშობს. აღარაფერს ვამბობთ რესპუბლიკის ნაკრების წევრებზე. ციფრი 40 სხვა ნებისმიერი სახეობისთვის უფრო კატასტროფული იქნებოდა, ვიდრე იმედისმომცემი, მაგრამ ჩვენთან სათვითმფრინავო სპორტი ხომ ფაქტიურად ახლა დგამს პირველ სერიოზულ ნაბიჯებს.

წელს ჩვენი მფრინავები პირველად გამოვლენ სასპარტაკიადო ბატალიებში. სათვითმფრინავო სპორტში სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები 3-დან 13 სექტემბრამდე უკრაინის დედაქალაქში გაიმართება.

საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, პირველთანრიგოსნები ბიჭიკო მჭედლიშვილი, ნიკოლოზ ჟაბინი, ტატიანა ურუშაძე, პეტრე ბელელია და ნაკრების კიდევ რამდენიმე კანდიდატი მწვრთნელ ამირან მესტვირიშვილის ხელმძღვანელობით უკვე შეუდგნენ კიევის სტარტებისთვის მზადებას. მიმდინარეობს თეორიული მეცადინეობები, სულ მალე კი პრაქტიკულ ფრენებს შეუდგებიან. სპარტაკიადის დაწყებამდე ჩვენს სპორტსმენებს 24-30 ივლისს ერევანში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ზონალურ სამატჩო შეხვედრაში მოუწევთ გამოსვლა. ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმამდე მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობა, ჩვენი აზრით, გამოუცდელი გუნდისთვის თითქმის არაფერს ნიშნავს. მარტო ენთუზიაზმი კი საქმეს ვერ უშველის, საჭიროა ძალების ხშირად გამოცდა.

ახალბედა სპორტსმენების მომზადების ხელმძღვანელმა, პირველი კლასის მფრინავმა ზურაბ ლომჯარიძემ ჩვენთან საუბარში რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი დაასახელა. აი, ისინიც: თეიმურაზ ჩხარტიშვილი, ვალენტინა შეპეტოვა, ირინა კაკუშაძე, გიორგი კვანტრიშვილი, მიხეილ ლაბაძე. ისინი და მათი მეგობრები მალე დამოუკიდებლად მიუსხდებიან სპორტული თვითმფრინავის საჭეს. მათ მრავალი საინტერესო შეჯიბრება ელით.

ვერცხლისფერი მომცრო ლაინერი ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში, ჰორიზონტზე საჰაერო მარყუჟი მოხაზა. ვერტიკალურ ფრენს აკრობატული ტრიუკები ცვლის, თვითმფრინავი ქარის წისქვილივით იწყებს ტრიალს...

გ. ბარჯაძე.
(„ლელოს“ კორ.).

დედაქალაქის სპარტაკიადა

მომავალს იმედით შევცქერით

დედაქალაქის VIII სპარტაკიადაზე სპორტის კიდევ ერთი სახეობის, ჩოგბურთის ოსტატებმა დაამთავრეს ასპარეზობა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა „დინამოს“ ძლიერმა კოლექტივმა (ნ. თუხარელი, მ. მალაციძე, გ. ელერდაშვილი და ვ. გაბრიჭიძე), რომელმაც ფინალში ანგარიშით 3:2 დაამარცხა „ბურევესტნიკი“.

პირად პირველობას, რომელიც 27 თებერვალს დაიწყო და 3 მარტამდე გასტანა, მოუთმენლად მოელოდნენ. ვარაუდით სასპარეზოდ დედაქალაქის (ე. ი. რესპუბლიკის) თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი უნდა გამოსულიყო, გარდა ვ. ხურდასი (იგი მოსკოვში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე). ასეც მოხდა, თუმცა ქალთა ტურნირში ტრავმის გამო ვეღარ მიიღეს მონაწილეობა წამყვანმა ოსტატებმა — ლ. ზერეკიძემ და ქ. პეტროსიანმა.

ყველამ ვიცით, თუ რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ჩოგბურთში. ვიცით, რომ დიდი ჩოგბურთიდან ა. მეტრეველისა და თ. კაკულიას წასვლის შემდეგ მათი ტოლფასოვანი ცვლა აღარ მოიძებნა. სწორედ ამიტომ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს თითოეულ ასპარეზობას, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენში რამდენიმე უდავოდ პერსპექტიული ჩოგბურთელი გამოჩნდა.

წინდაწინ უნდა ითქვას, რომ, როგორც მწვრთნელები და სპეციალისტები, ისე მრავლად მოსული გულშემატკივარი არა ერთი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდა. ტურნირში თავდაპირველად 16-16 (ვაჟი და ქალი) სპორტსმენი ჩაება. წინასწარი შეხვედრების შემდეგ შექმნილმა ფინალურმა ოთხეულმა კი წრიული სისტემით გააგრძელა პაექრობა.

ჩოგბურთელ ქალთა ასპარეზობაში მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. ფინალში დები მ. და ი. მალაციძეები, ლ. მეტრეველი და მრავალნაცადი ნ. თუხარელი გავიდნენ. პროგნოზებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ აზრი გაიყო, თუმცა უმეტესობა უპირატესობას ახალგაზრდებს, კერძოდ კი რომელიმე დას ანიჭებდა. რესპუბლიკის წამყვანმა ჩოგბურთელმა ი. მალაციძემ წააგო შეხვედრა მ. მალაციძესთან და შემდეგ ტრავმის გამო ვეღარ შეძლო ასპარეზობის გაგრძელება. საბოლოოდ ნ. თუხარელმა (მწვრთნელი ს. თუხარელი) შესაშური მონდომებით და ენერგიით წარმართა ყველა შეხვედრა, მოიპოვა სამი გამარჯვება და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

აი, რა გვითხრა ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ჩოგბურთში ნ. მძინარიშვილმა:

— ქების მეტი რა ითქმის ნინო თუხარელზე, რომელმაც კარგი ტექნიკა, ტაქტიკური აზროვნება და, რაც მთავარია, მებრძოლი ხასიათი გამოავლინა. ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო: მე ჯერ არ შემხვედრია ჩოგბურთელი, რომელსაც ასე უყვარდეს სპორტის ეს სახეობა და ბოლომდე მისი ერთგული რჩებოდეს.

მეორე ადგილი წილად ხვდა საკმაოდ ბრძოლისუნარიან და ნიჭიერ სპორტსმენ ლ. მეტრეველს, ხოლო მესამე —მ. მალაციძეს. ეს უკანასკნელი ზედმეტ ემოციურობას რომ არ ამჟღავნებდეს შეხვედრებისას, ალბათ გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწევდა...

არა ერთი ლამაზი ორთაბრძოლის გახსენება შეიძლება. სიამოვნებით ვუცქერდით დები მალაციძეების, ნ. თუხარელი — მ. მალაციძის და სხვათა პაექრობებს. ყველაზე დაძაბული და საინტერესო ალბათ მაინც ნ. თუხარელი — მ. მალაციძის შეხვედრა იყო— 6:2, 5:7, 7:6.

ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ ქალების ტურნირში გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. ვაჟთა შეჯიბრებაში კი, ჯერ კიდევ წინასწარ შეხვედრებში, ყველა გააოცა ახალბედა დ. კაჭარავამ, რომელმაც გამოცდილ რ. გვერქიანს მოუგო. საბოლოოდ მან IX ადგილი დაიკავა, რაც უდავოდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. სპეციალისტები დ. კაჭარავას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ყველა აღაფრთოვანა (ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის) ვლადიმერ გაბრიჭიძემ, რომელიც ჯერ 15 წლისაც არ არის. როცა მან რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი გ. ელერდაშვილი დაამარცხა, უმეტესობამ ეს შემთხვევით წარმატებად ჩათვალა და ამისათვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია. როგორც შემდგომში გაირკვა, ისინი აშკარად ცდებოდნენ. ფინალურ ოთხეულთა ტურნირში, რომელშიც ნორჩი სპორტსმენის გარდა მოხვდნენ ვ. ბაქში, მ. საღარაძე და ი. მეტრეველი, ნორჩმა ჩოგბურთელმა რიგრიგობით დაამარცხა მეტოქენი და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელიც მოიპოვა. ჯერ მოუგო მ. საღარაძეს 7:6, 3:6, 7:5, შემდეგ დაამარცხა ი. მეტრეველი—6:0, 6:0 და ბოლოს სძლია ვ. ბაქშის — 6:1, 6:4. თითოეული მისი ორთაბრძოლა სპარტაკიადის ნამდვილ მშვენებად შეიძლება ჩაითვალოს. როცა ვ. გაბრიჭიძემ უკანასკნელი გეიმი და მასთან ერთად შეხვედრაც მოუგო ვ. ბაქშის, მაყურებელმა ოვაციები მოუწყო ახალგაზრდა სპორტსმენს.

ვ. გაბრიჭიძე ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი ჩოგბურთელია, ერთნაირი წარმატებით თამაშობს ორივე ხაზზე, აქვს ძალიან ძლიერი მოწოდება, რომლის მიღება ჭირს, ტაქტიკურად სწორად წარმართავს ორთაბრძოლებს. თუმცა, სპეციალისტების აზრით, ახალგაზრდა და უდავოდ ნიჭიერმა სპორტსმენმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, რათა საკმაოდ დახვეწოს ტექნიკა. იმედია, რომ პერსპექტიული ჩოგბურთელი თავის მწვრთნელ ვ. ჩახუნაშვილთან ერთად სერიოზულად ივარჯიშებს. მეორე ადგილი წილად ხვდა ვ. ბაქშის, მესამე — ი. მეტრეველს.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ნ. მძინარიშვილს ვესაუბრეთ. დიალოგს რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელთან „ლელოს“ ერთ-ერთ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. ახლა კი დავსძენთ:

ყველაზე სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სპარტაკიადამ ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა; დაგვანახა, რომ ახალგაზრდებმა ბოლო წლებში საკმაოდ აიმაღლეს კლასი და ღირსეულ კონკურენციას უწევენ გამოცდილ ჩოგბურთელებს. უფლება გვაქვს კვლავ ოპტიმიზმით ვუცქიროთ ქართული ჩოგბურთის მომავალს, რომელსაც არც თუ დიდი ხნის წინათ საკავშირო მასშტაბით მოწინავე პოზიციები ეკავა.

ნ. გიორგაძე.

• • •

სურათებზე: ნ. თუხარელი (მარცხნივ) და ვ. გაბრიჭიძე.
ე. ხუცურაულის ფოტოები.

ჩვენი სპორტის ამაგდარნი

ძია მიშა

იმ ამაგდარ ადამიანთა შორის, ვინც ჭიდაობის ქართული სკოლის ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი, ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **მიხეილ თიკანაძე**, რომელსაც მალე 80 წელი შეუსრულდება. ძია მიშა უკვე ექვსი ათეული წელია ქართულ სპორტს, ჩვენს ჭიდაობას ემსახურება. იგი ახალგაზრდობაში მრავალმხრივი სპორტსმენი იყო: ძალოსანი, მძლეოსანი, კლასიკური სტილის მოჭიდავე. ბევრჯერ წარმატებით გამოსულა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში, შემდეგ მწვრთნელი გახდა და თავისუფალი სტილის მოჭიდავე თაობები აღზარდა.

როგორ მუშაობდა მიხეილ თიკანაძე? რა იყო მის საქმიანობაში განსაკუთრებული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი საქმე არ არის, ამიტომ ყველაზე უმთავრესს აღვნიშნავ: ეს გახლავთ ფანატიკური სიყვარული არჩეული საქმისადმი, გრძნობა პასუხისმგებლობისა და მოვალეობისა.

მე ბევრჯერ შევსწრებივარ კამათს იმის თაობაზე, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე, კვალიფიციური მწვრთნელი. თვითონ ძია მიშა ოთხ მთავარ მომენტს გამოყოფდა: მწვრთნელი სპორტსმენისთვის უნდა იყოს ავტორიტეტი, უნდა ჰქონდეს ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების მაღალი დონე, ორგანიზატორული ნიჭი და, რაც არანაკლებ არსებითია, უნდა იყოს სამართლიანი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თავად მიხეილ თიკანაძე ყველა ამ თვისებითაა დაჯილდოებული.

...60-იანი წლების დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ ახალბედა მოჭიდავედ ვითვლებოდი, ჩრდილოეთის ერთ-ერთ ქალაქში გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე. თითქოს ურიგოდ მომზადებული არ ვიყავი, მაგრამ... წავაგე პირველივე შეხვედრა, წავაგე მეორეც, მესამეც. გავბრაზდი საკუთარ თავზე, გადავწყვიტე, რომ ჭიდაობა ჩემი საქმე არ არის, რომ ვერასოდეს გავხდებოდი კარგი მოჭიდავე და ის დროა, სპორტს თავი დავანებო... უცებ ძია მიშას ხელი ვიგრძენი: მომეფერა, დამაიმედა — ყველაფერი წინ გაქვს, გულის გატეხვა რა ვაჟკაცის საქმეაო. ამ კაცის სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. ენერგიის საოცარი მოზღვავება ვიგრძენი, ამის შემდეგ კიდევ სამი შეხვედრა გავმართე და სამივეში გავიმარჯვე, თანაც ჩემი უფროსი კატეგორიის უძლიერეს მოჭიდავეებთან.

ჭიდაობაში ძალზე რთულია გუნდის ძირითადი შემადგენლობის განსაზღვრა. არცთუ იშვიათად ერთ წონაში 4-5 თანაბარი შესაძლებლობის სპორტსმენი იყრის თავს. ბუნებრივია, შეჯიბრებაზე გამოსვლა მოუწევს ერთს, მეორე კი ვერ მოხვდება გუნდში. აქ მწვრთნელის დიდი ტაქტი და მოთმინებაა საჭირო, რათა მან გულწრფელად დააჯეროს სპორტსმენი საკუთარი გადაწყვეტილების სამართლიანობაში.

უნდა ითქვას, რომ მიხეილ თიკანაძეს ყველა ასეთ სიტუაციაში, როგორც წესი, ოპტიმალური გადაწყვეტილება გამოჰქონდა.

საქართველოს ნაკრებში ნაჩქარევად, აწონ-დაწონვის გარეშე არავის მოიწვევდა. სპორტული მონაცემების გარდა, კარგად შეისწავლიდა ხოლმე მოჭიდავეთა საერთო ინტერესების სფეროს, ხასიათს. ზუსტად იცოდა, ვინ სად სწავლობდა, სად მუშაობდა და ცხოვრობდა, ვის რა ულხინდა და უჭირდა. ყოველთვის ცდილობდა გუნდში მეგობრული ატმოსფერო ყოფილიყო.

ამ ბოლო დროს ჯანმრთელობამ ცოტა უმტყუნა ძია მიშას, პრაქტიკულ საქმიანობას ჩამოშორდა, მაგრამ მისი უდიდესი გამოცდილება კვლავაც დიდ სამსახურს გვიწევს ჩვენ, მის აღზრდილებს, უმცროს კოლეგებს, რომლებიც ბევრს ვსწავლობთ ამ ამაგდარი ადამიანისაგან.

გ. სალარაძე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

სურათზე: მ. თიკანაძე (მარცხნივ) და გ. სალარაძე.

მოსკოვის ოლიმპიადა სამაგალითოა

იაუნდე. ყოველწლიურად სპორტი, როგორც ოლიმპიური მოძრაობა, სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს საზოგადოების ცხოვრებაში, — განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა კამერუნის დედაქალაქში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. — სპორტი და ოლიმპიზმი გვიჩვენებენ, რომ მშვიდობა შესაძლებელია. დიდ სპორტულ ფორუმებზე გამოდიან სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მქონე სპორტსმენები. ვიმედოვნებთ, რომ თამაშები სარაევოსა და ლოს-ანჯელესში ჩატარდება მშვიდობის, მეგობრობისა და კეთილი ნების ატმოსფეროში.

ოლიმპიურ მოძრაობას კვლავინდებურად აქვს პრობლემები. ახლა უნდა მივაღწიოთ სოკ-ის, ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციის შეთანხმებულ მოქმედებას, — თქვა სოკ-ის პრეზიდენტმა, — ერთობაშია ჩვენი მთავარი ძალა.

ძნელია ერთმანეთს შეადარო მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია, — უპასუხა სამარანჩმა საქდესის კორესპონდენტს, აღნიშნავ. რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მეტად კმაყოფილია მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციით. ოლიმპიზმის ისტორიაში ეს იყო საუკეთესო თამაშები როგორც ორგანიზაციული, ისე წმინდა სპორტული თვალსაზრისით, მოსკოვის სარბიელებზე არაერთი რეკორდი დამყარდა...

ოლიმპიადა-80-ის დაწყებამდე გამართულმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ, რომელიც ეროვნული შეჯიბრებიდან ფართო მასშტაბის საერთაშორისო ფორუმად იქცა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას. ვიცით, რომ სპარტაკიადა-83-ში მიწვეულია 60 ქვეყნის 1000 სპორტსმენი. სოკ-ი მიესალმება და მხარს უჭერს ასეთი ფართო შეჯიბრებების გამართვას.

სოკ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ვცდილობ ვეწვიო ყველა ქვეყანას, გავეცნო მათი ოლიმპიური კომიტეტის ცხოვრებას, მათთან ერთად ვიმსჯელო სპორტის პრობლემებზე, სპორტულ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს შორის დამოკიდებულებაზე, — თქვა სამარანჩმა. — ვცდილობთ ხელი გავუმართოთ ქვეყნებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, კერძოდ აფრიკის ქვეყნებს. სოკ-ი გადაიხდის ასეთი ქვეყნებიდან 6-6 სპორტსმენის ჩამოსვლის ხარჯებს 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. აფრიკა ოლიმპიური მოძრაობის მნიშვნელოვანი რეგიონია. აქ სხვა კონტინენტებთან შედარებით ყველაზე მეტი ოლიმპიური კომიტეტია. სოკ-ის მომავალ სესიაზე ვაპირებთ განვიხილოთ სოკ-ში აფრიკის კიდევ ორი სპორტული მოღვაწის შეყვანის საკითხი. (საქ-[illegible]

სახელგანთქმული ქართველი ფალავანი სანდრო კანდელაკი ჩვენი ეროვნული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ფიგურაა. ამ გოლიათური აგებულობისა და ფანტასტიკური ფიზიკური ძალის მქონე ადამიანს პირველად 13 წლის ასაკში ჩააცვეს თანასოფლელებმა საჭიდაო ჩოხა, რომელიც მას არასდროს შეურცხვენია, ამიტომაც შეარქვეს „უძლეველი ფალავანი.“

სანდრო კანდელაკზე, მის პიროვნებასა და საინტერესო თავგადასავლებზე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ შეუძლებელია კინემატოგრაფისტებს შეუმჩნეველი დარჩენოდათ. არადა, დღემდე არ არსებობს არათუ რაიმე დოკუმენტური ფირი, არამედ ინფორმაციაც კი იმის შესახებ, რომ სანდრო კანდელაკი, როგორც მოჭიდავე, ეკრანისათვის გადაეღოთ. ის კი ვიცით, რომ 90-იან წლებში აღმოსავლურ ეგზოტიკას დახარბებული უცხოელი კინოოპერატორები ჩვენში მრავალ სიუჟეტს იღებდნენ, რომელთაც აქაც უჩვენებდნენ და, რაც მთავარია, თავიანთ პატრონებსაც უგზავნიდნენ საზღვარგარეთ. ცნობილია ამ სიუჟეტების სახელწოდებანიც: „ყარაჩოხელთა ღრეობა მცურავ ტივებზე“, „ქეიფი ორთაჭალის ბაღში“, „კინტოების კრივი“ და ა. შ. მათ შორის იყო აგრეთვე „ჭიდაობა“. სამწუხაროდ, არც ეს ფირები შემოგვრჩა და არც მათი ანოტაციები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მაშინ შეიძლებოდა სანდრო კანდელაკიც გადაეღოთ. მაგრამ ფაქტი ერთია: —

წერილი რედაქციას

შევქმნათ ფილმი სანდრო კანდელაკზე

დღემდე არ გაგვაჩნია თუნდაც ერთი მეტრი დოკუმენტური ფირი სანდრო კანდელაკზე, როგორც მოჭიდავეზე.

სამაგიეროდ, ს. კანდელაკის გამოსახულება ერთობ უხვად შემოგვინახა მხატვრულმა კინემატოგრაფმა და აქ პირველი სიტყვა ეკუთვნის სახელგანთქმულ ქართველ კინორეჟისორს ალექსანდრე წუწუნავას, რომელმაც სანდრო ჯერ ეპიზოდურ როლში გადაიღო („ხანუმა“, 1926 წ.), ხოლო შემდეგ ერთ-ერთი ძირითადი როლი შეასრულებინა თავის ორსერიან ფილმში „ჭანყო გურიაში“ (1928 წ.).

ს. კანდელაკი გადაღებულია სხვა ფილმებშიც. ესენია: „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1934 წ.), „ქაჯეთი“ (რეჟ. კ. მიქაბერიძე, 1936 წ.), „მეგობრობა“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1940 წ.), „ქაჯანა“ (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1941 წ.), „გიორგი სააკაძე“ (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1942-43 წ.წ), „ჭურღაის ფარი“ (რეჟ. ს. დოლიძე, დ. რონდელი, 1944 წ.). 30-იან წლებში მას იღებდნენ ფილმში „ხიდი ენგურზე“, მაგრამ ეს ფილმი აღარ დაუმთავრებიათ, გადაღებული მასალა კი დაიკარგა.

ყოველივე ეს, ცხადია, სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ შევქმნათ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ჩამოთვლილი ფილმების სათანადო ფრაგმენტებთან ერთად, ილუსტრაციულ მასალად გამოყენებული იქნება ფოტოები და სხვა საილუსტრაციო საშუალებანი, [illegible] მონაცემები, მოგონებები, [illegible], პირადი ნივთები თუ გეოგრაფიული გარემო, რომელსაც ახლა გადავიღებთ. ამდენად, მთავარია დაიწეროს ისეთი სცენარი, რომელშიც საფუძვლიანად გადმოიცემა ს. კანდელაკის ცხოვრების გზა, მისი, როგორც სპორტსმენის, სახე.

ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ახლა მაინც მოვიხადოთ ვალი ჩვენი შესანიშნავი სპორტსმენის და მოქალაქის ხსოვნის წინაშე.

რას იტყვით ამაზე, ძვირფასო მკითხველებო? იქნებ რაიმეთი დაგვეხმაროთ, ხომ არ შეგვახსენებთ კიდევ სად თამაშობდა ს. კანდელაკი, ეგებ რაიმე მასალა და წინადადება შემოგვთავაზოთ. ნუ დაიზარებთ, მოგვწერეთ.

გიორგი დოლიძე,
საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

გაზეთი — მკითხველი — გაზეთი

გავიგეთ, რომ არსებობს კარატეს ორი საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია. საინტერესოა, რამ განაპირობა ორი ფედერაციის შექმნა, რა დამოკიდებულებაა მათ შორის. გვაინტერესებს, აგრეთვე, არის თუ არა პერსპექტივა, რომ კარატე სპორტის ოლიმპიური სახეობა გახდეს.

ვ. ჯინჭარაძე, გ. ურიგაშვილი, მ. სორდია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

აღნიშნულ საკითხზე მასალის გამოქვეყნებას გვთხოვენ ჩვენი გაზეთის სხვა მკითხველებიც. ვფიქრობთ, მათს ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებს კარატეში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის **ზურაბ მერაბიშვილის** წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

კარატე: პრობლემები და პერსპექტივები

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის კარატეს ფედერაცია 1978 წლის დამლევს შეიქმნა და უკვე ბევრი რამ გააკეთა ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის გეგმაზომიერი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის ნაკრები კარატეში უახლოეს მომავალში უნდა გავიდეს საერთაშორისო სარბიელზე, ამისთვის კი საჭიროა სსრ კავშირის კარატეს ფედერაციის შესვლა კარატეს საერთაშორისო ფედერაციაში. მაგრამ მსოფლიოში არსებობს კარატეს ორი საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია — ვუკო და იაკფ.

როგორც ცნობილია, კარატეს დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა პირველი ოფიციალური შეჯიბრება მხოლოდ 1956 წელს ჩატარდა იაპონიაში. 1965 წლიდან იმართება საერთაშორისო შეჯიბრებები. 1968 წელს მოეწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი კარატეში. იმ პერიოდში დღის წესრიგში დადგა კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხი. ამ მიზნისთვის გამოყენებული იქნა შესაფერისი შემთხვევა — 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშები.

აშშ-ის კარატეს ფედერაციამ მექსიკის სპორტულ კავშირთან თანამშრომლობით ჩაატარა ეგრეთ წოდებული „მოსახმობი მსოფლიო ჩემპიონატი კარატეში ოლიმპიური ასპარეზობის აღსანიშნავად“, რომელზეც მიიწვიეს სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები ყველა კონტინენტიდან. შეჯიბრებას დიდი წარმატება ჰქონდა ლოს-ანჯელესში (პირადი პირველობა) და მეხიკო-სიტიში (გუნდური პირველობა). სწორედ მაშინ ჩაისახა იმედი, რომ კარატე მალე დაიმკვიდრებდა ადგილს სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ოჯახში. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, თუ რა სიძნელეების გადალახვა იყო საჭირო, ვიდრე ეს იმედი რეალურ საფუძველს დაემყარებოდა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

მეხიკო-სიტის ჩემპიონატის დროს ოტელ „მარია-იზაბელში“ მიმდინარეობდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც პირობით უწოდეს „კარატეს მსოფლიო ფედერაცია“, აქვე აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, რომლებსაც უნდა მოემზადებინათ მომდევნო კონფერენცია და 1970 წლის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ტოკიოში. მაგრამ გარკვეულმა პირებმა გადაწყვიტეს კარატე და მისი სანახაობრიობა თავიანთი ანგარებიანი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, თანაც ისეთი მეთოდებით, პროფესიულ სპორტს რომ ახასიათებს.

სხვადასხვა პრობლემებმა, რომლებიც სპორტის ამ სახეობის განვითარებაში 1968 წლის შემდეგ გაჩნდა, კარატეს მეორე საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა (1974 წელს) განაპირობეს. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხებით.

1970 წლის პირველი მსოფლიო ჩემპიონატისა (ტოკიო) და მექსიკის კონფერენციის ორგანიზატორი, იაპონელი რიოიჩი სასაკავა და საფრანგეთის წარმომადგენელი დელკური შეთანხმდნენ, რომ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე ევროპიდან მიიწვევდნენ მხოლოდ ევროპის კარატეს კავშირის (ეკუ) წევრებს, რომლის პრეზიდენტი თვით დელკური იყო. ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მისცეს იაპონიის კარატეს რამდენიმე ფედერაციის (იაპონიაში კარატეს ძალზე ბევრი ფედერაციაა) ნაკრებ გუნდებს. ჩემპიონატში მონაწილეობდა იაპონიის ხუთი ნაკრები და სხვა ქვეყნების თითო გუნდი. ეს დიდი მოვლენა ისე ჩატარდა, რომ არ გამართულა დისკუსიები ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხებზე, წესებისა და წესდების გამო. მიიღეს მხოლოდ ორგანიზაციის ახალი სახელი — ვუკო (მსოფლიოს კარატე-დოს კავშირების ორგანიზაცია) და მომდევნო ჩემპიონატის ადგილად პარიზი დათქვეს.

სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონატი პარიზში კიდევ უფრო უწესრიგოდ ჩატარდა, ვიდრე ტოკიოში. ორგანიზაციის წესდება კვლავ არ შეუმუშავებიათ, მხოლოდ შეჯიბრების წესები მიიღეს. ჩემპიონატს მეტწილად ფრანგი მსაჯები ემსახურებოდნენ, რომელთა არაკვალიფიციურობის გამო მსაჯობა ერთობ სუბიექტური იყო. გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჩემპიონატში დაუშვეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებიც. ამან შეუძლებელი გახადა პირველობაში ბევრი ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლა, რასაც სკანდალი მოჰყვა. რვა ქვეყანამ, მათ შორის იაპონიამაც, უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო პირველობაში.

1974 წლის 27-28 სექტემბერს ნიუ-იორკ-სიტიში მოიწვიეს სპეციალური კონფერენცია ვუკო-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტის ა. ალენის თავმჯდომარეობით. 25 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ ვუკო-ს შემადგენლობიდან და დაგმეს იგი. დაარსდა კარატეს საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (იაკფ) და მიღებულ იქნა ორგანიზაციის წესდება. ამრიგად, იაკფ-ი წარმოიქმნა მექსიკის კონფერენციიდან ექვსი წლის შემდეგ, როგორც დროებითი „კარატეს მსოფლიო ფედერაციის“ პირდაპირი „მთამომავალი“. დღეისათვის მის შემადგენლობაში მსოფლიოს 100-მდე ქვეყანა შედის.

1975 წლის 23-24 აგვისტოს იაკფ-მა ლოს-ანჯელესში ჩაატარა თავისი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც 52 ქვეყნის ნაკრები გუნდები ჩავიდნენ. კარატეს ისტორიაში პირველად ჩემპიონატის ორგანიზატორები მოქმედებდნენ მიღებული საერთაშორისო წესებისა და ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. პირველობის წინ, 21-22 აგვისტოს გაიმართა იაკფ-ის პირველი კონფერენცია, რომელზეც აირჩიეს მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი. ეს ჩემპიონატი 1977 წელს ტოკიოში ჩატარდა.

შემდგომ წლებში იაკფ-ის საქმიანობა შესამჩნევად გააქტიურდა. დემოკრატიულ საფუძველზე და იაკფ-ის წესდების შესაბამისად შეიქმნა კარატეს მსხვილი რეგიონალური ფედერაციები. ევროპის კარატეს სამოყვარულო ფედერაცია — ეაკფ, არაბეთ—აფრიკის კარატეს ფედერაცია — აკფ, აზია-ოკეანიის კარატეს ფედერაცია — ასკფ და პანამერიკული ქვეყნების კარატეს კავშირი — პაკუ, რომლებიც ატარებენ თავიანთ ჩემპიონატებს და იაკფ-ის წევრები არიან.

ამჟამად მდგომარეობას ართულებს ის, რომ იაკფ-ის შექმნით, მართალია, საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ არსებობა არ შეუწყვეტია ვუკო-ს და ეკუ-ს. უფრო მეტიც, ამ ორგანიზაციებმა გააძლიერეს პროპაგანდა ეროვნულ ფედერაციებში. ამის შედეგად ვითარება, განსაკუთრებით ევროპაში, ძალზე გართულდა: ზოგიერთ ქვეყანას აქვს კარატეს ორი ეროვნული ფედერაცია ან ორი დაჯგუფება ფედერაციაში, რომელთაგან თითოეულს ჰყავს თავისი გუნდი. ერთი გამოდის ვუკო-ს ჩემპიონატებში, მეორე — იაკფ-ისა. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანას (მაგალითად, ავსტრიას) ჰყავს ერთი ნაკრები, რომელიც გამოდის ერთბაშად ორივე ჩემპიონატში (ვინაიდან მათი ჩატარების ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა).

იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო იზრდება კარატეს პოპულარობა, სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა რაოდენობა, ოლიმპიურ კომიტეტში შევიდნენ წინადადებით (ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით) კარატე შევიდეს ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას აბრკოლებს ის, რომ არსებობს კარატეს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია — ვუკო და იაკფ, რაც არ შეესაბამება ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში სპორტის ახალ სახეობათა მიღების წესებს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ იაკფ-ის და ეაკფ-ის საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ნაკლოვანებანი, ისევე როგორც ვუკო-ს და ეკუ-ს აქვთ თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ყველაზე ლოგიკური, და რაც მთავარია, კარატეს განვითარებისათვის ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა ამ ორი ორგანიზაციის გაერთიანება. სამწუხაროდ, ვუკო-ს და ეკუ-ს ხელმძღვანელები დიდხანს ყურადღებით არ ეკიდებოდნენ იაკფ-ის და ეაკფ-ის წინადადებებსა და ცდებს ამ პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ ბოლო წელს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა. იაკფ-ის და ეკუ-ს წარმომადგენელთა ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა 1982 წლის ნოემბერში გაიმართა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ორი ევროპული ფედერაცია საბოლოოდ გაერთიანდება. როგორც კი ეს მოხდება, დანარჩენი ფედერაციებიც გაერთიანდებიან და ამის შედეგად შეერთდებიან კარატეს მსოფლიო ფედერაციები — ვუკო და იაკფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მხატვრული ტანვარჯიში

სტარტზეა ოლიმპიური რეზერვი

გალინა ბელოგლაზოვა ჯერ ახალგაზრდაა, 16 წლის, მაგრამ სპორტული სამყარო მას უკვე იცნობს როგორც მზარდ, ნიჭიერ და ძლიერ მხატვრულ ტანმოვარჯიშეს. მის გამოჩენას ოვაციებით ხვდებიან გულშემატკივრები. გალინას მიმართ არც თბილისელი მაყურებლები არიან გულგრილნი. ეს ნათლად გამოჩნდა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო პირველობაზე, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტული კომპლექსი „ბურევესტნიკი“ მასპინძლობდა.

საასპარეზოდ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 14 გუნდი ჩამოვიდა. უმცროს ასაკში (1970-1971 წლებში დაბადებულნი) მრავალჭიდში პირველობისთვის 27 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს. სპეციალისტებს ფავორიტად სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მარინა ნიკოლაევა მიაჩნდათ და არც თუ შემთხვევით: ორი წელია ნორჩმა ტანმოვარჯიშემ ტექნიკა საგრძნობლად დახვეწა, პროგრამა რთული ელემენტებით შეავსო და სტაბილურადაც ასპარეზობს, მაგალითად, შარშან ოლიმპიური რეზერვის მსგავს შეჯიბრებაში II-III ადგილები, ხოლო განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ საკავშირო პირველობაში ლენინგრადელ ოქსანა ბარლეტთან ერთად I-II ადგილები გაიყო.

თბილისის სარბიელზეც თავიდანვე ამ ორ გოგონას შორის წარიმართა უშეღავათო ბრძოლა გამარჯვებულის ტიტულისათვის. ტაშკენტელი მოსწავლე, ირინა ვინერის აღსაზრდელი, ამ ასპარეზობისათვის უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და 54,3 ქულით პირველობაც მას დარჩა. მესამე იყო ლ. გორობეცი — 52,35.

— საკავშირო პირველობებში ბედი არ მწყალობდა — გვითხრა ასპარეზობის შემდეგ უსაზღვროდ გახარებულმა მ. ნიკოლაევამ. — გამარჯვებულის სახელი და საპრიზო ადგილებიც ყოველთვის საზიარო მქონდა, ამჯერად კი, როგორც იქნა, ჩემს კონკურენტებს გავუსწარი.

— ვის მიიჩნევდით ამ შეჯიბრებაზე ძირითად მეტოქეებად? — ვკითხეთ მარინას.

— ოცდაექვსივე ტანმოვარჯიშეს, რადგან არ იცი, ვინ როგორ სიურპრიზს შემოგთავაზებს. ისე კი, მთავარ მეტოქედ მაინც ოქსანას ვთვლიდი და აკი არც შევმცდარვარ.

— რატომ აირჩიე მხატვრული ტანვარჯიში?

— დედაჩემი — ლიუბა ნიკოლაევა — მხატვრული ტანმოვარჯიშე იყო, ახლა მწვრთნელად მუშაობს. პირველი ნაბიჯები მან გადამადგმევინა სპორტში.

— იდეალად ვინ მიგაჩნიათ?

— ვენერა ზარიპოვა და დალია კუტკაიტე.

* * *

... დარბაზში კი იღვრება მუსიკის ჰანგები, სარბიელზე ერთმანეთს ცვლიან გოგონები. ასპარეზობა უკვე დაამთავრეს უმცროსი ასაკის ტანმოვარჯიშეებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, თბილისელმა ევგენია შირინკინამ. მან 51,35 ქულით VI-VII ადგილები გაიყო, თუმცა შეეძლო უკეთესი შედეგისთვისაც მიეღწია. მაღალი შედეგები ვერც სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ჩვენმა გოგონებმა აჩვენეს. ყველაზე უკეთესი შედეგი (52,35 ქულით მე-13 ადგილი) ნინო გრიშაშვილმა აჩვენა. აღსანიშნავია, ისიც, რომ ქართველ ტანმოვარჯიშეთაგან მხოლოდ ნინომ მოიპოვა რვა საუკეთესოს შორის გურზებითა და უსაგნოდ ვარჯიშში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლება.

რაც შეეხება ჩემპიონობას, ეს ტიტული მოიპოვა ამ ასპარეზობის მთავარმა ფავორიტმა, ასტრახანელმა გალინა ბელოგლაზოვამ, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები. (მეორე ადგილზე გავიდა მინსკელი ნ. სერაფიმოვიჩი — 54,45, ხოლო მესამეზე — მოსკოველი ო. დუბროვსკაია — 54,30). გალინას უპირატესობა 56 მონაწილეს შორის აშკარა იყო. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ გ. ბელოგლაზოვა (მწვრთნელი ლ. ტიხომიროვა) თავის თანატოლებთან შედარებით გამოცდილია. შარშან იგი ევროპის პირველობაზე სათადარიგო ტანმოვარჯიშედ იყო შეყვანილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ მოხდა ისე, რომ ასპარეზობის წინ ვენერა ზარიპოვამ ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად სარბიელზე გალინა გამოვიდა. იგი არ შეუშინდა გამოცდილ მეტოქეებს და ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში თავისი დებიუტი მეშვიდე ადგილით აღნიშნა. მანამდე გ. ბელოგლაზოვამ საბჭოთა კავშირის პირველობაზე III ადგილი დაიკავა, 1981 წელს კი ინტერვიზიის თასის გათამაშებაზე, რომელიც გდრ-ში გაიმართა, პირველი იყო უმცროს ასაკობრივ ჯგუფში. მანვე ტოლი არავის დაუდო, შარშან ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელებს შორის გამართულ საკავშირო პირველობაში. და აი, გალინამ წარმატება თბილისის სარბიელზეც გაიმეორა.

— ალბათ, შედეგით კმაყოფილი ხართ.—დავეკითხეთ გ. ბელოგლაზოვას.

— საბოლოო შედეგით კი, მაგრამ ჩემი გამოსვლით არა. — გვითხრა მან. — მეტის გაკეთება შემეძლო. ეტყობა რაღაც ვერ გავითვალისწინე.

— სპორტული სეზონი ახალი დაწყებულია, წინ კი მრავალი საინტერესო ორთაბრძოლებია. რომელ მათგანში მიიღებთ მონაწილეობას?

— წლეულს ბევრ შეჯიბრებაში მომიწევს ასპარეზობა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარია საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლაა. შემდეგ კი შეიძლება ვიფიქრო მსოფლიო ჩემპიონატზეც, რომელიც შემოდგომაზე საფრანგეთში გაიმართება...

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გალინას კარგად აუბეს მხარი მისმა თანაგუნდელებმა (ლ. რასულოვა, მ. ერმოლაევა, ლ. სლობოდჩიკოვა, ი. კულახმეტოვა, ტ. ილვეს). მათ საბოლოოდ 267,4 ქულა მოაგროვეს და პირველობაც არავის დაუთმეს. გამარჯვებულებს 1,75 ქულით ჩამორჩნენ მინსკელი ტანმოვარჯიშეები (ი. ლაბოდა, ლ. გორობეცი, ე. ტრეტიაკი, ი. ბოგდანოვა, ო. კისელიოვა, ნ. სერაფიმოვიჩი). მესამე ადგილი 263,95 ქულით სტავროპოლის გუნდმა (გ. ნოსოვა, ი. ტოკბაევა, ო. ასუდჩენკო, ი. კოლესოვა, ი. გაბინა, რ. შინგარევსკაია) დაიკავა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — ე. ბედოშვილი, ე. შირინკინა, ნ. ნონიევა, ე. ცერცვაძე, ვ. სოფაძე. ნ. გრიშაშვილი, მეცხრე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

გუშინ სპორტის ოსტატობის პროგრამით მოასპარეზენი ცალკეული საგნებით ვარჯიშში ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდნენ.

ვ. დანელია.

ტექნიკური შედეგები:

უსაგნოდ ვარჯიში. გ. ბელოგლაზოვა (ასტრახანი) — 18,85; ნ. სერაფიმოვიჩი (მინსკი) — 18,45; ნ. გრომოვა (რიგა) — 18,35.

სახტუნელა. ბელოგლაზოვა — 19,15; ო. დუბროვსკაია (მოსკოვი) და ტ. ილვესი (ასტრახანი) — 18,15

რგოლი. სერაფიმოვიჩი — 18,7; ბელოგლაზოვა — 18,6; დუბროვსკაია — 18,5.

ბურთი. ბელოგლაზოვა — 18,85; ო. კისელიოვა (მინსკი) — 18,3; ი. შაპოვალოვა (კიევი) — 18,2.

გურზები. გრომოვა — 18,85; რ. შინგარევსკაია (სტავროპოლი) — 18,5; ნ. გრიშაშვილი (თბილისი) — 18,3.

ლენტი. ბელოგლაზოვა — 18,7; სერაფიმოვიჩი —18,60; დუბროვსკაია — 18,35.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მ. ნიკოლაევა (მარცხნივ) და გ. ბელოგლაზოვა; ქვემოთ — ნ. გრიშაშვილი ასპარეზობისას.

ავტორისა და
ე. ხუცურაულის ფოტოები.

ივანაშვილი კვლავ პირველია

უკანასკნელ წლებში ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ზაურ ივანაშვილი. შარშან იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თანატოლთა შორის, თავი გამოიჩინა სხვა მნიშვნელოვან ტურნირებშიც.

ზ. ივანაშვილმა არც ამჯერად უღალატა „ტრადიციას“ — ამას წინათ კრასნოდონში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა და „მოლოდაია გვარდიას“ პრიზი დაიმსახურა. ამ შეჯიბრებაში 1963-65 წლებში დაბადებული მოჭიდავეები მონაწილეობდნენ.

• • •

სურათზე: ზ. ივანაშვილი.

პანორამა

● ძალოსნობა

ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე — „მეგობრობის თასი“ 90 კგ ძალოსნებში მეორედ გაიმარჯვა 20 წლის გროზნოელმა ი. არსამაკოვმა, რომელმაც ორჭიდში 400 კილოგრამი მოაგროვა.

100 კგ ათლეტებში ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა ძალოსანს, დიმიტროვგრადელ 19 წლის ი. ზახარევიჩს. მან ოთხჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები — ჯერ ატაცში 200 კილოგრამი აჩვენა, შემდეგ 240 კგ აჰკრა და ზედიზედ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი ორჭიდში. ჯერ 432,5 კგ აჩვენა, შემდეგ 440 კგ.

• • •

გუშინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა მინსკელმა ლ. ტარანენკომ (110 კგ), რომელიც შტანგისტთა „მეგობრობის“ თასის ტურნირში ასპარეზობდა, დამატებით ცდაზე დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი ატაცში — 196,5 კგ. ეს შედეგი 0,5 კგ-ით ჯობს მისსავე ადრინდელ მიღწევას. შემდეგ მან აჰკრა 242 კგ, რაც აგრეთვე მსოფლიო რეკორდია.

ასევე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ზემძიმე წონის ათლეტმა კიეველმა ა. პისარენკომ, რომელმაც აიტაცა 203 კგ. ეს შედეგი 0,5 კგ-ით მეტია მისსავე ადრინდელ რეკორდზე.

● მძლეოსნობა

ბუდაპეშტში სტარტი აიღო მძლეოსანთა ზამთრის ევროპის ჩემპიონატმა. საბჭოთა სპორტსმენმა ლატვიელმა ი. ბოიარსმა ბირთვის კვრაში ოქროს მედალი მოიპოვა— 20,56 მ. ვერცხლის ჯილდო წილად ხვდა აგრეთვე საბჭოთა ათლეტს ლენინგრადელ ა. ბარიშნიკოვს, რომელმაც გამარჯვებულთან მხოლოდ 12 სანტიმეტრი წააგო. „ბრინჯაოს“ იუგოსლაველი ი. ივანჩიჩი დაეუფლა — 20.26.

● ჩოგბურთი

გუშინწინ ლუჟნიკის მცირე სპორტულ სარბიელზე სტარტი აიღო დევისის თასის გათამაშებამ. სარბიელზე იყვნენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. ამ დღეს ერთეულთა შეხვედრები გაიმართა. ჯერ კორტზე გამოვიდნენ კ. პუგაევი და ი. ნოა. სამ პარტიაში გაიმარჯვა ნოამ — 6:4, 6:4, 6:4. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ვ. ბორისოვი და ა. ლეკონტი. გამარჯვება აქაც ფრანგს დარჩა — 13:11, 6:2, 6:2, ამრიგად, მატჩში ანგარიშია 2:0 ფრანგების სასარგებლოდ. გუშინ გაიმართა წყვილთა შეხვედრა.

● წყალბურთი

საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგი მატჩი თბილისის დინამოელებმა გამართეს მოსკოვის „უნივერსიტეტის“ გუნდთან და წააგეს 6:11.

დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — „დინამო“ (მოსკოვი) 9:8, „დინამო“ (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი“ 7:6.

აკრობატებმა გვასახელეს

გროზნოში ჩატარდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში. ასპარეზობაზე თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ვაჟთა წყვილებში პირველობა არავის დაუთმეს გია კაკაშვილმა და ვაჟა კალანდარიშვილმა (მწვრთნელი ა. თედეევი). ხტომებში ყველას აჯობეს ჯ. ლაშხის აღზრდილებმა — გია მარმარაშვილმა, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, და ია ხოფერიამ. დასანანია, რომ ფატიმა სულაქველიძე დაშავდა და III ადგილს დასჯერდა. ლია ზანგალაძისა და ლალი ჩოხელის წყვილი III ადგილზე გავიდა. მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურეს ბათუმელმა გოგონებმა ნ. ვეტეშკინამ და მ. კოსტავამ (მწვრთნელი ნ. აფაქიძე). ჩვენი გუნდის 6 წევრი ჩარიცხულია „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, რომელიც 16 მარტს ბაქოში საკავშირო საუწყებო პირად-გუნდურ პირველობაში იასპარეზებს.

მ. ქელეხსაშვილი.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

ვაჟა პარშინი, სოფელ ხიდისთავის № 15 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, კარგად ერკვეოდა ავტომობილებში. თავისი ცოდნა კი მოახმარა საქმეს, რომელსაც სრულიად არ ითვალისწინებს მისი სწავლის პროგრამა.

ჩავიდა თუ არა შინ, გორში ვ. პარშინი მივიდა წინასწარ შერჩეული მისამართით. კარის გაღება და ეზოში მდგომი ავტომანქანის დაქოქვა მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა. იგი ქალაქგარეთ გავიდა, შეარჩია მყუდრო ადგილი და მარჯვედ დამალა ავტომანქანა. მაგრამ ჩაფიქრებულის ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლო.

შეიძლებოდა შეგვექო ვ. პარშინის პედაგოგები მათი თექვსმეტი წლის აღსაზრდელის კარგი ტექნიკური ცოდნისათვის, მათს აღმზრდელობით მუშაობაში რომ არ შეიმჩნეოდეს ერთობ სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებები.

რა აზრის არის ამის თაობაზე საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი?

• • •

ძნელად დასაჯერებელი რამ მოხდა რუსთავში: გაიტაცეს ავტომობილი... ფასიანი სადგომიდან, სადგომიდან, რომელიც შემოღობილია, რომელსაც ჰყავს დარაჯი, რომლის ტერიტორია მთელი ღამე განათებულია.

როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, ჩვენს მკითხველებს ალბათ აუხსნის ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი რესპუბლიკური საზოგადოების ცენტრალური საბჭო, რომელსაც ფასიანი სადგომი ექვემდებარება. (საქინფორმი).

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, X ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 10 (წყალბურთი), 12 (ტანვარჯიში), 21 (ცურვა), 29 (სასტენდო სროლა), 39 (მთამსვლელობა), 42 (წყალსათხილამურო სპორტი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 24 (ხელბურთი), 25 (ციგაგობა), 27 (მშვილდოსნობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, #80086, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 06268